დანართი №4

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის წესი და ვადები

მუხლი 1. სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის წესი

1. ამ დანართის ფორმა №5 ივსება ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელის მიერ.
2. ამ დანართის ფორმა №5 ივსება ლიცენზიით განსაზღვრული სარგებლობის შედეგად მიღებული მონაცემებისა და გაანგარიშებების შესაბამისად.
3. ამ დანართის ფორმაში და ცხრილებში მონაცემები აისახება სათანადო გრაფების მაჩვენებლების დასახელების შესაბამისად.
4. თუ შესაბამისი მონაცემების რაოდენობა აღემატება გრაფების რაოდენობას, მაშინ შესაძლებელია ინფორმაცია წარმოდგენილი იქნეს დანართის სახით, რაც აღინიშნება შესაბამისი „შესრულების მდგომარეობის“ გრაფაში.
5. თუ ლიცენზიის მფლობელი ჩათვლის, რომ მის მიერ წარმოდგენილი ანგარიში შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას, ის ვალდებულია ინფორმაციის წარდგენისას იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლით.
6. ლიცენზიის მფლობელის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გამოყენება კონვენციის სამდივნოსა და კონვენციის მხარეთა ადმინისტრაციული და სამეცნიერო ორგანოებისადმი მომზადებულ ანგარიშებში შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წარმოადგინოს ლიცენზიის ფარგლებში განხორციელებული ქმედებების ფოტო-დოკუმენტაცია.

მუხლი 2. სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადები

ლიცენზიის მფლობელი ყოველწლიურად, 1 აპრილიდან 1 მაისამდე ახორციელებს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგებას. ანგარიშგება ხდება ლიცენზიის გამცემისთვის წერილობით წარდგენით. ლიცენზიის მფლობელი, რომელიც ლიცენზიას მიიღებს საანგარიშგებო პერიოდის დაწყებამდე 6 თვის განმავლობაში, ვალდებული არ არის ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს ანგარიშგება.

ფორმა №5

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნისსახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის" პირობების შესაბამისად თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის შესახებ ანგარიში

1. ლიცენზიის მფლობელი _____

2. საიდენტიფიკაციო კოდი _____

3. ლიცენზიის მფლობელის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ.ფოსტა) _____

_____

4. ლიცენზიის ნომერი, გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა _____

_____

5. ფართობების ადგილმდებარეობა (მუნიციპალიტეტი, გეოგრაფიული კოორდინატები), სადაც ლიცენზიის საფუძველზე მოპოვებული იქნა რესურსი _____

_____

6. ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი რესურსი, სახეობა, მოცულობა

_____

7. საანგარიშგებო პერიოდი 20____ წლის ____ იანვრიდან 20_____წლის ____ იანვრამდე.

--- ---

ლიცენზიატის სახელი, გვარი ხელმოწერა

(იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება) ბ.ა.

ცხრილი 1

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ” კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის ანგარიშგების ფორმა

№	საკითხი	შესრულების მდგომარეობა	შენიშვნა
1.	საანგარიშო პერიოდში მოსაპოვებელი (კვოტით დადგენილი) რესურსის სახეობა და რაოდენობა		
2.	საანგარიშო პერიოდში ფაქტიურად მოპოვებული რესურსის სახეობა და რაოდენობა, მოპოვებულ რესურსში არასტანდარტული ბოლქვების/ გორგლების საერთო წილი (%).		
3	ინფორმაცია რესურსის მოპოვების ადგილების შესახებ, (დასახელებები: სატყეო უბნის; სატყეოს; კვარტალის; ლიტერის; ან/და ლიტერების), მუნიციპალიტეტი, სოფელი/ადგილი, გეოგრაფიული კოორდინატები		

4	ინფორმაცია რესურსის მოპოვების პერიოდის შესახებ, თვეების მითითებით		
5	ინფორმაცია ექსპორტირებული რესურსის შესახებ, რესურსის საერთო რაოდენობა, შესაბამისი ნებართვის („ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, განსაზღვრული ნებართვა) ნომერი და თარიღი		

ცხრილი 2

სოჭის გირჩით სარგებლობის მიზნით გაცემული ლიცენზიის ანგარიშგების ფორმა

№	საკითხი	შესრულების მდგომარეობა	შენიშვნა
1.	საანგარიშო პერიოდში მოსაპოვებელი (კვოტით დადგენილი) რესურსის სახეობა და რაოდენობა		
2.	საანგარიშო პერიოდში ფაქტიურად მოპოვებული რესურსის სახეობა და რაოდენობა		
3.	ინფორმაცია რესურსის მოპოვების ადგილების შესახებ, სატყეო უბანი, სატყეო, კვარტალი, ლიტერი		
4.	ინფორმაცია რესურსის მოპოვების პერიოდის შესახებ, თვეების მითითებით		

5.	ინფორმაცია ექსპორტირებული რესურსის შესახებ, რესურსის საერთო რაოდენობა		
6.	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს შესაბამის ტერიტორიული ორგანოს მიერ სათესლე ნაკვეთის დამაგრების მიღება-ჩაბარების აქტის ნომერი და თარიღი		
7.	დამაგრებულ სათესლე ნაკვეთის ფიზიკური დაცვის ღონისძიებები და გამოვლენილი სამართალდარღვევის ფაქტები ადგილმდებარეობის მითითებით		